



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### დიდი არტაანის სანჯაყი (ლივა)

დიდი არტაანის სანჯაყი (ლივა), ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთის ერთ-ერთი სანჯაყი, ადმ. ცენტრი – ფარაგნის ციხის რაბათი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1595) მიხედვით დ. ა. ს-ის ფართ. 1958 კმ<sup>2</sup> უდრიდა. ცხოვრობდა 3507 კომლი.

სანჯაყში ყოფილა სამი ნაპიე (მზვარე, ჩრდილი და ტყიანი), 209 სოფელი და დასახლ. პუნქტი. აქედან 38 სოფელი დაცარიელებულა – მოსახლეობა საქართვ. სხვადასხვა კუთხეში გადასახლებულა. მოჰყავდათ მარცვლეული: ხორბალი, ქერი, ფეტვი, რ-თა საშ. წლ. მოსავალი 11392 ც შეადგენდა, ერთ კომლზე საშუალოდ – 32 ც. აღნუსხულია 224 წისქვილი, აქედან 28 დანგრეული იყო, 14 მუშაობდა მთელი წლის განმავლობაში, დანარჩენი – სეზონურად. შესანიშნავი იალაღები და საძოვრები მეცხოველეობისათვის, განსაკუთრებით მეცხვარეობისათვის, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ჰყავდათ 60 ათ-ზე მეტი ცხვარი და 14 ათ. ღორი. თითქმის ყველა სოფელში მეფუტკრეობას მისდევდნენ. რეგისტრირებულია 8705 სკა (საშუალოდ ერთ კომლზე – 2,4 სკა), განვითარებული იყო აგრეთვე მებაღეობა-მებოსტნეობა.

დიდ სანჯაყში ოსმალებმა დანერგეს თიმარული მინათმფლობელობა და თავიანთი საგადასახადო სისტემა. ამავე დროს 53 სოფელი არ იყო აღწერილი და დავთარში გატარებული. მათზე არ ვრცელდებოდა ოსმ. საგადასახადო სისტემა და მათი წესები. ქართვ. ფეოდალთა ნაწილი გამაჰმადიანდა, ოსმალთა სამსახურში ჩადგა და თიმარული სისტემის საფუძველზე შეინარჩუნა მიწები. აღსანიშნავია, რომ დავთარში მოხსენიებული იყვნენ ქრისტიანები, რ-ებიც ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს და ომის დროს ლაშქრობაში მონაწილეობა ევალებოდათ. XVII ს. პირველი ნახ. ოსმ. წყაროების (აინი ალი, კოჩიბეი გორიჯელი, ალი ჩაუმი სოფიიდან) მიხედვით, დ. ა. ს-ში იყო 9 ბეამეთი და 86 თიმარი,

სანჯაყბეგის ხასი კი 300 ათ. ახჩას შეადგენდა.

„ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთრის“ (1694-1732) მონაცემებით, სანჯაყში იყო 10 ბეამეთი, რ-თა წლ. შემოსავალი შეადგენდა 252127 ახჩას, 95 თიმარისა - 652313 ახჩას, სანჯაყბეგის ხასისა - 240 ათ. ახჩას, ხოლო მთლიანად სანჯაყისა - 1144440 ახჩას. 1829, როდესაც რუს.-ოსმ. ომის შედეგად ახალციხის ეიალეთის სანჯაყების ნაწილი რუსეთს შეუერთდა, დ. ა. ს. გაუქმდა. იგი ოსმ. შემადგენლობაში დარჩა არტაანის სანჯაყის სახელწოდებით.

*წყარო:* გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოც., წგ. 1-3, თბ., 1941-58; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. 1694-1732 წწ., ც. აბულაძის და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979.

*ლიტ.:* გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე გ., „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ როგორც დემოგრაფიულსტატისტიკური ძეგლი, «თსუ შრომები», 1948, ტ. 34; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს-ში, თბ., 1984; მ ი ს ი ვ ე, ფეოდალური მინათმფლობელობის ზოგიერთი საკითხი სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის დროს, კრ.: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბ., 1991.

***მ. სვანიძე***

---